# ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომა

## ო ქ მ ი#2

24 თებერვალი 2021 წელი

15.00სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გვანცა გრძელიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გურამი კიკნაველიძე
ირინა ტყეშელაშვილი
მამუკა გორგოძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლები: ნაზიმი კბილაშვილი, თამთა ჯიხვაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი: ნოდარ ებანოიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში: ზანდა ჯიხვაძე-ფაიქიძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის

განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N 42 2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს.ზანდა ჯიხვაძე-ფაიქიძე

თანამომხსენებელი: გვანცა გრძელიძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“, ფრაქციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ბაღდათელები მომავლისათვის“ ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხები

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ, გვანცა გრძელიძემ დამსწრე კომისიის წევრებს წარმოუდგინა საკითხი: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N 42 2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში: ზანდა ჯიხვაძე-ფაიქიძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში: ზანდა ჯიხვაძე-ფაიქიძემ განაცხადა, რომ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქვოტა თანხმდება საკრებულოსთან და ფინანსთა სამინისტროსთან

კომისიის წევრი: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა ზანდა ჯიხვაძე-ფაიქიძეს რამდენი იქნება სულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში: ზანდა ჯიხვაძე-ფაიქიძემ უპასუხა გურამი კიკნაველიძეს რომ სულ შრომითი ხელშეკრულებით

დასაქმებული იქნება 17 და დაემატება 2, 19 პიროვნება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული

იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N 42 2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიამ გადაწყვიტა:

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N 42 2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ, გვანცა გრძელიძემ დამსწრე კომისიის წევრებს წარმოუდგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“, ფრაქციის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე: გვანცა გრძელიძემ განაცხადა, რომ ფრაქციის სამივე წევრმა მოახდინეს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“, ფრაქციის რეგისტრაციის გაუქმება

იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიამ განიხილა და მიზანშეწონილად მიიჩნია, „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის N 112

დადგენილების 35-ე მუხლის მე-15 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს გაუქმების თაობაზე მიმართოს საკრებულოს საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულო სხდომაზე

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი3. კომისიის თავმჯდომარემ, გვანცა გრძელიძემ დამსწრე კომისიის წევრებს წარმოუდგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ბაღდათელები მომავლისათვის“ ფრაქციის რეგისტრაციის შესახებ.

კომისიის წევრი: ირინა ტყეშელაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ახალი ფრაქციის შექმნა რამდენად ეტევა კანონის ფარგლებში

კომისიის თავმჯდომარე: გვანცა გრძელიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 30-მუხლის და „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის N 112 დადგენილების 35-ე მუხლის მოთხოვნებს

იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიამ განიხილა აღნიშნული მოთხოვნისა და წარმოდგენილი მასალების შესაბამისობა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 30-მუხლის და „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის N 112 დადგენილების 35-ე მუხლის მოთხოვნებთან და დაადგინა, რომ წარმოდგენილი მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

შესაბამისად, ფრაქცია „ბაღდათელები მომავლისათვის“ შექმნის საკითხს კომისია აფასებს დადებითად. საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულო სხდომაზე

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხები ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე: [signature] გვანცა გრძელიძე